დემოკრატიის სკოლები საქართველოში
Democracy Schools in Georgia

Netherlands Institute for
Multiparty Democracy
Georgia Representation

NIMD-ის შესახებ

ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (NIMD) ჰოლანდიური პოლიტიკური პარტიების მიერ შექმნილი ორგანიზაციაა და მიზნად ისახავს დემოკრატიული სისტემის განვითარების მხარდამჭერას ახალი დემოკრატიის ქვეყნებში.

NIMD ამჟამად აფრიკის, ლათინური ამერიკის, აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის 21 ქვეყანაში ახორციელებს პროგრამებს. NIMD-ის საქმიანობა საქართველოში ემყარება პოლიტიკური პროცესების გახსნილობის მხარდაჭერას, როგორც ახალგაზრდა დემოკრატიების განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას.

NIMD-ის პროგრამები საქართველოში მიმართულია პლურალისტული დემოკრატიის ჩამოყალიბებისკენ. NIMD-ის ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში მიზნად ისახავს განათლების, საკანონმდებლო რეფორმების და პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალიზაციის მხარდაჭერას.

NIMD ხელს უწყობს დემოკრატიის სწავლებას საქართველოში და ამ გზით დემოკრატიის პრინციპების ერთგული აქტივისტებისა და პოლიტიკური ლიდერების ჩამოყალიბებას.

NIMD-ის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა დემოკრატიის გაძლიერებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა იმ მოქალაქეების მხარდაჭერით, რომლებიც მომავალში პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და სამოქალაქო ორგანიზაციებსა და მოძრაობებს ჩაუდგებიან სათავეში და იქნებიან მნიშვნელოვანი დემოკრატიული ცვლილებების შემოქმედნი.

NIMD–ის პროგრამული საქმიანობა საქართველოში შემდეგი მიმართულებით ხორციელდება:

- დემოკრატიის სწავლება;
- რეფორმების მხარდაჭერა;
- პარტიების ინსტიტუციური განვითარება;

მარიამ ცისკარიშვილი: „დემოკრატიის სკოლას ძალიან მნიშვნელოვანი მისია აქვს, რადგან ის მოქალაქეობრივ აზროვნებას, დემოკრატიულ მსოფლმხედველობასა და ღირებულებებს ავითარებს.“

დემოკრატიის სკოლის კურსდამთავრებული

რას ემსახურება NIMD-ის დემოკრატიის განათლების პროგრამა?

ხედვა

განათლების საშუალებით, დემოკრატიული ლიდერობის და ორმხრივი პასუხისმგებლობის განვითარება და წარმატებული საზოგადოების მშენებლობა.

მისია

დემოკრატიული ცვლილებებისა და საზოგადოების განვითარების მიზნით, აქტიური მოქალაქეების ხელშეწყობა და განვითარება.

პროგრამის მიზანი

ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (NIMD) დემოკრატიის განათლების პროგრამას 2011 წლიდან ახორციელებს საქართველოში და ის საზოგადოებაში დემოკრატიაზე მოთხოვნის გაძლიერებას ისახავს მიზნად. ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული პროგრამა ექსპერტთა ჯგუფის მიერ არის შემუშავებული და ეფექტური სამოქალაქო ჩართულობისთვის აუცილებელ ცოდნასა და უნარებს უზრუნველყოფს. პროექტის ამოცანაა ცოდნასა და მტკიცებულებებზე დამყარებული საჯარო დისკუსიის ხელშეწყობა და დემოკრატიული ღირებულებების გამყარება საზოგადოების ყველა დონეზე. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო NIMD-ის მიერ დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილება დემოკრატიის განათლების სფეროში, რომელიც ათწლიან ისტორიას ითვლის სამ სხვადასხვა კონტინენტზე.

საქართველოში დემოკრატიის განათლების პროგრამა რეგიონებში ხორციელდება და მისი მიზანი ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერებაა. პროგრამაში მონაწილეობენ სხვადასხვა პროფესიის მოქალაქეები, რომლებიც ლიდერულ უნარებს ავლენენ იმ გარემოში სადაც მოღვაწეობენ. დემოკრატიის განათლების პროგრამა არის ხელსაყრელი შესაძლებლობა ნიჭიერი ადამიანებისთვის, რომ მათ საკუთარი მოტივაცია და იდეები პრაქტიკულ საქმეებში გარდასახონ, გაიღრმავონ ცოდნა, ააშენონ პროფესიული კავშირები და საკუთარი წვლილი შეიტანონ ქართული დემოკრატიის განტკიცებაში

NIMD–ის დემოკრატიის განათლების პროგრამა შემდეგი პრობლემების აღმოფხვრას ისახავს მიზნად:

- სუსტი დემოკრატიული ტრადიცია
- პოლიტიკური თანამონაწილეობის დაბალი ხარისხი
- ადგილობრივი დემოკრატიის სისუსტე
- ინოვაციური აზროვნების ნაკლებობა
- არასათანადო ცოდნა ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თანასწორობის შესახებ
- ინფორმაციაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა
- შეზღუდული ანალიტიკური და პრობლემების გადაჭრის უნარები
- ხელისუფლების ვალდებულებების შესახებ არასაკმარისი ცოდნა
- კოლექტიური ორგანიზების და ადვოკატირების შეზღუდული რესურსები

გიორგი კალმახელიძე: „სკოლაში წარმოდგენილი მრავალფეროვანი თემები მონაწილეების უშუალო ინტერესებზეა მორგებული. მრავალფეროვანი და ახალი ლიტერატურა სკოლის კიდევ ერთი დიდი პლიუსია.“

დემოკრატიის სკოლის კურსდამთავრებული

რას წარმოადგენს დემოკრატიის სკოლა?

დემოკრატიის სკოლა ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის (NIMD) პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს აქტიური მოქალაქეების ჩამოყალიბების ხელშეწყობას მათი სათანადო ცოდნითა და უნარებით აღჭურვის გზით.
დემოკრატიის სკოლის პილოტური პროექტი 2011 წლის შემოდგომაზე თელავში დაიწყო. ხუთთვიანი პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ NIMD-მა პროგრამის გეოგრაფია გააფართოვა და 2012 წლის იანვრიდან ქუთაისში კიდევ ერთ დემოკრატიის სკოლას ჩაუყარა საფუძველი. 2012 წლის შემოდგომიდან კი დემოკრატიის სკოლები გორშიც და ბათუმშიც დაიწყებს მუშაობას. გორის დემოკრატიის სკოლა ეუთოში ჰოლანდიის დელეგაციასთან ხოლო ბათუმის დემოკრატიის სკოლა ფრიდრიხ ნაუმანის ფონდთან პარტნიორობით შეიქმნა. ეტაპობრივად სკოლების გახსნა საქართველოს სხვა ქალაქებშიც იგეგმება.

რატომ არის დემოკრატიის სკოლა მნიშვნელოვანი?

საქართველო, როგორც გარდამავალი დემოკრატია მნიშვნელოვან ინსტიტუციურ ცვლილებებს განიცდის. თუმცა ჭეშმარიტი დემოკრატიული მმართველობის შესაქმენლად საზოგადოებრივი ჩართულობის და საჯარო მსჯელობის ხარისხის გაღრმავება აუცილებელია. დემოკრატიის სკოლის პროექტი სწორედ ამ ამოცანას ემსახურება.

NIMD-ის კვლევებმა და განსაკუთრებით 2010 წელს ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა კვლევამ ინფორმირებულობის უაღრესად დაბალი დონე გამოავლინა ისეთ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხზე, როგორიც საქართველოს საკონსტიტუციო რეფორმაა. ახალი კონსტიტუციის, კონსტიტუციის, რომელიც თავის მხრივ სახელმწიფოს მოწყობის ძირეულ ცვლილებებს მოიცავს, მიმართ საზოგადოების მცირე ინტერესი, ხოლო დაინტერესებულ ჯგუფთა დაბალი ინფორმირებულობა არასათანადო პოლიტიკურ კულტურაზე და რაც მნიშვნელოვანია, სამოქალაქო განათლების ეფექტური პლატფორმის საჭიროებაზე მიუთითებს.

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მდგრადობისთვის აუცილებელია რომ ქვეყნის მოქალაქეთა დიდ რაოდენობას ჰქონდეს სათანადო მოტივაცია, შესაბამისი უნარები და შესაძლებლობები რომ საკუთარი ან საკუთარი თემის ინტერესები დაიცვას და ეფექტური მონაწილეობა მიიღოს საქვეყნო საქმეებში.

ჩვენ მივიჩნევთ, რომ სამოქალაქო ჩართულობის ხარისხი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ასეთი ჩართულობის მასშტაბები. ამ თვალსაზრისით მოქალაქეთა ინტერესების სწორ არტიკულაციას, ცოდნაზე დამყარებული არგუმენტების წინ წამოწევას და ადგილობრივი ინტერესების ადვოკატირებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

NIMD-ის დემოკრატიის სკოლის მიზანი სწორედ აქტიური მოქალაქეებისათვის ეფექტური საგანმანათლებლო პლატფორმის შექმნაა.

ლელა ღარიბაშვილი: „დემოკრატიის სკოლა პიროვნების აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. სკოლაში არაერთი სასარგებლო უნარ-ჩვევა შევიძინეთ, რომელიც შემდგომში კარიერულ წინსვლაში დაგვეხმარება.“

დემოკრატიის სკოლის კურსდამთავრებული

თეონა ჩაველაშვილი: „დროთა განმავლობაში მონაწილეებმა ერთმანეთის მოსმენა და სხვისი აზრების პატივისცემა ვისწავლეთ. ამაში დამსახურება დემოკრატიის სკოლას მიუძღვის.“

დემოკრატიის სკოლის კურსდამთავრებული

რას გვთავაზობს დემოკრატიის სკოლა

- საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამა ადგილობრივ მოთხოვნილებებზე და
- რესურსებზე მორგებული ინტენსიური და ყოვლისმომცველი პროგრამა
- სასწავლო პროცესის სამსახურეობრივ მოვალეობებთან შეთავსების შესაძლებლობა
- აქცენტი ელექტრონული განათლების სისტემაზე: მონაწილეები სარგებლობენ დისტანციური სწავლების თანამედროვე პროგრამით და ელექტრონული მკითხველებით, ასევე ტექნიკურად აღჭურვილი თანამედროვე აუდიტორიით
- ქართულ ენაზე ნათარგმნი თანამედროვე ლიტერატურა
- პრაქტიკოსი და მკვლევარი ლექტორების გუნდი
- სტუდენტების მრავალფეროვანი ჯგუფი
- შეხვედრები მოწვეულ სტუმრებთან
- სივრცე არა მარტო ლექციებისთვის არამედ ღონისძიებების და ინდივიდუალური ინიციატივების განსახორციელებლად
- ადგილობრივ დონეზე საკუთარი ინტერესების ლობირებისთვის საჭირო უნარების გამომუშავების შესაძლებლობა
- ადგილობრივი პერსპექტივებით დანახული პროცესები

არჩილ მჭედლიშვილი: „დემოკრატიის სკოლამ რადიკალურად შეცვალა ჩემი შეხედულებები. აღსანიშნავია, რომ სწორედ სკოლის დამსახურებაა ის ფაქტი, რომ დღეს გაცილებით ტოლერანტული ადამიანი ვარ. “

დემოკრატიის სკოლის კურსდამთავრებული

ნათია ქინქლაძე: „დემოკრატიის სკოლაში მეგობრული და თბილი ატმოსფეროა. თითოეული მოდული და ტრენინგი სრულყოფილი და ინოვაციურია.“

დემოკრატიის სკოლის კურსდამთავრებული

დემოკრატიის სკოლის უპირატესობები

დემოკრატიის სკოლა ხუთთვიანი არაფორმალური განათლების პროგრამაა. ის ღიაა განსხვავებული გამოცდილების მქონე ადამიანებისთვის, რომელთაც დემოკრატიის საფუძვლებში ჰორიზონტის გაფართოვების და შემდეგ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების გზით ქვეყანაში დემოკრატიის მშენებლობაში წვლილის შეტანა სურთ.

დემოკრატიის სკოლაში ტრენინგებს თბილისიდან და რეგიონებიდან მოწვეული აკადამიური წრეების, არასამთავრობო სექტორის, მედიის და საერთაშორისო ორგანიზაციების პრაქტიკოსები და მკვლევარები ატარებენ.

სასწავლო კურსის მსვლელობისას მონაწილეები ეუფლებიან დემოკრატიის ძირითად კონცეფციებს, იღრმავებენ ანალიტიკურ შესაძლებლობებს და იუმჯობესებენ იმ პროფესიულ უნარებს, რომლებიც საკუთარი იდეების რეალობაში განსახორციელებლად სჭირდებათ, თანამედროვე, მაღალი კონკურენციის პირობებში.

დემოკრატიის სკოლის სასწავლო კურსი ოთხ მოდულს მოიცავს: პრაქტიკული უნარების მოდული სტუდენტებში დემოკრატიის ისტორიას, მის ძირითად პრინციპებს განიხილავს და ასევე აწვდის მათ მომავალი პრაქტიკული მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს (პრეზენტაციები, დისკუსიები, ინტერნეტ-კვლევა, დებატები) დემოკრატიული საზოგადოების მოდული სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის, არჩევნების, მედიის, გენდერის, პოლიტიკური პარტიებისა და იდეოლოგიის საკითხებზეა კონცენტრირებული. დემოკრატიული მმართველობის მოდული სახელმწიფო მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის, საჯარო პოლიტიკისა და კონსტიტუციონალიზმის მნიშვნელოვან საკითხებს ეხება, დასკვნითი, მეოთხე მოდული კი მონაწილეობა და ლიდერობის უნარ-ჩვევების განვითარებაზეა მიმართული და თანამონაწილეობის, ადვოკატირებისა და ლობირების უნარ-ჩვევებს აძლიერებს.

სასწავლო პროგრამასთან ერთად, დემოკრატიის სკოლა წარმოადგენს სამოქალაქო კლუბს, რომელშიც აქტიური მოქალაქეები, მედიის, ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები იყრიან თავს.

სკოლაში სწავლების როგორც ინტერაქციული ასევე დისტანციური და ონლაინ მეთოდები გამოიყენება.

მსმენელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ დისკუსიებში, სემინარებსა და პრეზენტაციებში, როგორც საქართველოს ასევე საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და კვლევით ორგანიზაციებთან.

აღსანიშნავია, რომ სკოლას ქართულ და უცხოურ ენებზე მზარდი ფიზიკური და ელექტრონული ბიბლიოთეკა გააჩნია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სკოლის სტუდენტებს საზოგადოებრივი პროექტების განხორციელების საშუალება ეძლევათ.

სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები NIMD-ის დემოკრატიის ქსელში წევრიანდებიან, რომელიც დემოკრატიის აქტივისტების მზარდ ორგანიზაციას წარმოადგენს. დემოკრატიის ქსელი ადგილობრივ და ნაციონალურ დონეზე საზოგადოების ინფორმირების, ადვოკატირების და კოლექტიური ძალისხმევის კონსოლიდაციის გზით, საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვადასხვა პრაქტიკულ საკითხებზე იმუშავებს.
ახალგაზრდები დემოკრატიული აქტივიზმის მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენენ, ამიტომ მათ აქტიურობას დემოკრატიის სკოლებში განსაკუთრებილი ყურადღება ეთმობა.
დემოკრატიის იდეის და დემოკრატიის სკოლების პოპულარიზაციისთვის ღონისძიება "როკი და დემოკრატია" გაიმართა ქუთაისში, 2012 წლის ივლისში.

სკოლის მოდულები

პრაქტიკული უნარ-ჩვევები

- დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპები
- კომუნიკაციის უნარები
- წერის უნარები
- საჯარო გამოსვლის უნარები
- დებატების უნარები
- ინტერნეტ უნარები

დემოკრატიული საზოგადოება

- მოქალაქეობა
- სამოქალაქო საზოგადოება
- ერი, ნაციონალიზმი და უმცირესობები
- რელიგია და დემოკრატია
- მედია
- გენდერი

მონაწილეობა და ლიდერობა

- ლიდერობა
- დემოკრატიული მონაწილეობის მექანიზმები
- არჩევნები/ამომრჩეველი (პრაქტიკული სავარჯიშოები)
- ადვოკატირება
- სამოქალაქო პროტესტის ფორმები
- ბიუჯეტის მართვის უნარები
- პროექტების წერის უნარები
- მონიტორინგის უნარები

მმართველობა და დემოკრატია

- კონსტიტუციონალიზმი, ეროვნული ხელისუფლების მოდელები
- კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები
- იდეოლოგიები
- პოლიტიკური პარტიები
- არჩევნები
- ადგილობრივი თვითმართველობა
- საერთაშორისო მხარდაჭერა



ლიკა ძამუკაშვილი: „ჩემი იმედები გამართლდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სასწავლო მოდულები ყველა იმ ასპექტს მოიცავდა, რომელთა გათვალისწინების გარეშეც დემოკრატიის მშენებლობა შეუძლებელია"

დემოკრატიის სკოლის კურსდამთავრებული

როგორ უნდა გახდეთ დემოკრატიის სკოლის მონაწილე?

დემოკრატიის სკოლაში მონაწილეობა ნებისმიერ დაინტერესებულ მოქალაქეს, ასევე არასამთავრობო, ადგილობრივი თვითმმართველობის, მედია ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შეუძლიათ. მონაწილეთა ასაკი 18 წელს უნდა აღემატებოდეს. პროგრამა ხუთთვიანია და ერთი სატრენინგო დღის ხანგრძლივობა 5 საათს შეადგენს. პროგრამაში მონაწილეობა უფასოა.

მონაწილეობის მსურველებმა შევსებული აპლიკაციის ფორმა უნდა გამოგზავნონ მისამართზე school.nimd.ge

დემოკრატიის სკოლის მონაწილეების პროფილი



დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
თბილისი 0108, ზანდუკელის 5 | 00995 32 982456 | school.nimd.ge | www.grassroots.ge
facebook.com/NIMDDemocracySchool
school@nimd.ge

ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (ნიმდი) არის დემოკრატიის განვითარების მხარდამჭერი ორგანიზაცია, რომელიც ჰოლანდიის შვიდი პოლიტიკური პარტიის მიერ დაფუძნდა 2000 წელს. ნიმდი დღესდღეობით 21 პროგრამულ ქვეყანაში მუშაობს აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში.

ნიმდი საქართველოში მუშაობს სამი ძირითადი მიმართულებით: დემოკრატიის განათლების შესაძლებლობის გაძლიერება, პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციური მხარდაჭერა და დემოკრატიული რეფორმების წახალისება.

Democracy Schools in Georgia

Netherlands Institute for
Multiparty Democracy
Georgia Representation

ABOUT NIMD

The Netherlands Institute for Multiparty Democracy (NIMD) is an organization founded by Dutch political parties whose aim is to support the development of democratic system in newly-established democracies.

NIMD is currently running programs in 21 countries in Africa, Latin America, Asia and Eastern Europe. In Georgia, NIMD's efforts are geared towards achieving greater inclusiveness of political process – an important condition for the country's democratic development.

NIMD programs in Georgia aim to support the establishment of pluralistic political system. Core objectives of NIMD in Georgia are to build solid platforms for democracy education, to strengthen political parties and to encourage democratic reforms.

By building high quality learning and networking environment in Georgia, NIMD supports the emergence of a growing pool of political leaders and activists devoted to democratic principles. .

A key objective for NIMD is to strengthen conditions for democracy by supporting those citizens who will become future leaders of political, public and civic organizations, as well as various movements, and will be agents of important democratic change.

NIMD programmes in Georgia focus on the following:

- High quality professional education
- Democratic reforms
- Stronger and more democratic political parties.

Mariam Tsiskarishvili: " The Democracy School has a very important mission because it helps to develop civic awareness and a democratic world view and values."

Democracy School Alumni

WHAT IS THE PURPOSE OF NIMD'S DEMOCRACY EDUCATION PROGRAMME?

Vision

To develop democratic leadership and promote mutual accountability for building flourishing communities through education.

Mission

To create a growing pool of active citizens with the capacity to be agents of democratic change and development through democracy education.

Aim

NIMD has been implementing democracy schools since 2011. The program builds on NIMD's international experience and is specifically tailored to the local needs. The core objective of democracy schools is to increase the grassroots capacity for civic activism and effective democratic participation.

The aim of democracy schools is to increase demand for democracy. The program builds on NIMD's international experience, as well as on inputs from local professionals, to deliver an experience that is tailored towards the local needs. The training course covers skills and knowledge components necessary for effective civic activism. Thus, the core objective of democracy schools is to increase the grassroots capacity for civic action and effective democratic participation.

The project is geared towards fostering knowledge-based policy debates in the public realm and strengthening democratic values at all levels of society. The program accounts for more than ten years of NIMD experience in democracy education on three continents. In Georgia, democracy schools are established in the regions and their key mission is to strengthen local democracy. People of different backgrounds who demonstrate leadership potential in their respective fields take part in the schools. Democracy schools are a good opportunity for talented individuals to translate their motivation and ideas into practical work, deepen their knowledge, build professional networks and make their own contribution to the strengthening of Georgian democracy.

Democracy Schools address the following societal problems:

- weak democratic tradition
- low political participation
- weak local democracy
- intolerance towards innovation
- low awareness of human rights
- limited access to information
- a lack of skills for solving analytical and other problems
- insufficient knowledge of citizen's and state's obligations
- low capacity for community organization and advocacy

Giorgi Kalmakhelidze: " Various subjects taught in the School are tailored to the interests of the participants. A diverse and new literature is a further advantage of the School."

Democracy School Alumni

WHAT ARE DEMOCRACY SCHOOLS ABOUT?

Democracy schools are implemented by NIMD to contribute to the emergence of a growing pool of active citizens nationwide by equipping them with appropriate knowledge and skills.

The full five-month pilot of a democracy school kicked off in the autumn of 2011 in Telavi. After the successful beginning in Telavi, NIMD expanded the project and established democracy schools in Kutaisi, Gori and Batumi. Gori Democracy School is supported by the Netherlands Representation in OSCE and Batumi Democracy School is set up in partnership with Friedrich Naumann Foundation. NIMD works towards opening more schools throughout Georgia.

Why are Democracy Schools Important?

As a transitional democracy, Georgia is going through a profound structural change. Democratic consolidation can only be achieved with a stronger civil society and an inclusive political discourse. Democracy Schools seek to strengthen capacities of key actors in this regard.

Primary attention is devoted to encouraging substantive debates on various policy matters and facilitating the culture of knowledge-based discussion. Program components are designed to equip different stakeholders from a wide spectrum of political, NGO, media and government organizations with tools and resources to actively engage in an open discourse and to advocate for ideas or policy proposals based on evidence.

RATIONALE BEHIND THE PROGRAM

Research projects commissioned by NIMD reveal low awareness of the general public about key political processes in the country. The national survey conducted in 2010 demonstrated that the knowledge of the then ongoing constitutional reform process was particularly modest. The lack of public interest and limited inclusion of key stakeholders in a process leading to fundamental changes in the system of government indicate poor political culture and the need for wide platforms of civic education.

To ensure the sustainability of political system, it is essential that a large number of citizens demonstrate sufficient motivation, adequate skills and capacity to defend interests of their community and effectively engage in national affairs.

At the democracy schools we believe that the quality of public discourse is just as important as the scale of public engagement in politics. In this regard, issues such as effective articulation of citizens' interests, evidence-based argumentation and grassroots advocacy are highly important.

The objective of NIMD democracy schools is to provide active citizens, media, political and civic activists, with efficient learning environment and give them additional resources to debate important issues of the day and act as agents of positive change.

Lela Gharibashvili: " The Democracy School helps to transform people into active citizens. We learnt many useful skills for our future careers."

Democracy School Alumni

Teona Chavelashvili: " Thanks to the Democracy School, we slowly learnt to listen to each other and to respect each other's opinions."

Democracy School Alumni

What do the Democracy Schools offer?

- A programme based on international experience
- Intensive and comprehensive tuition tailored to the local needs and resources;
- The possibility to combine study and work
- An emphasis on online education: students use modern distance learning methods and electronic readers as well as well-equipped modern classrooms
- Modern literature translated to Georgian
- A faculty made up of practitioners and researchers
- A diverse group of students
- Guest speaker events and self-organized additional events
- Working and getting support for the own projects
- The chance to acquire necessary skills for building own initiatives and lobbying
- Political processes observed through the local lense
- National conferences and events Possibility of nation-wide exchange and alumni network
- Small grants scheme for successful graduates

Archil Mchedlishvili: " The Democracy School changed my views radically. Thanks to the School I have become a more tolerant person."

Democracy School Alumni

Natia Kinkladze: " The Democracy School has a friendly and warm atmosphere. Each training and module is perfectly organized and innovative.'

Democracy School Alumni

Advantages of the Democracy Schools

Democracy schools offer an informal five-month educational program. The School's doors are open to people of different backgrounds who are interested in expanding their own competence, deepening knowledge of the principles of democracy and putting their knowledge into practice. Participants of democracy schools usually demonstrate high leadership potential and commitment to contribute to the Georgian democracy.

Trainings are led by professionals and researchers from the academic and non-governmental sectors, media and international organizations.

Throughout the program participants study essential concepts of democracy, deepen analytical capabilities and improve professional skills which will help them materialize their own ideas in a modern competitive environment.
The course consists of four modules. Practical Skills module visits the history of democracy and its core principles and focuses on mastering skills such as debate, presentation, internet research, and project management.

Democratic Society heavily concentrates on civil society, NGO, elections, media, gender, political parties, and ideologies.
Democratic Governance focuses on national government, local self-government, public policy and constitutionalism.

The final fourth module is about participation and leadership and rounds up the course with collective skills such as advocacy, participation and lobbying.

In addition to providing education, Democracy Schools are public clubs which bring together active citizens and representatives of the media, self-government, NGOs and political parties around variety of topics.

The School makes use of interactive, distance learning and online methods.
Students actively take part in debates, seminars and presentations in Georgia as well as with leading universities and research organizations abroad.

It should be noted that the Schools' library is made up of a growing volume of both electronic and print publications in Georgian and English languages.

Throughout the program students develop their own projects and get funding on a competitive basis.

Successful graduates join the alumni network – a growing organization of democracy activists. The network will work at both local and national levels on practical issues of public importance by means of information campaigns, advocacy and coordination.

Young people constitute the core of democratic activism and are given much attention within the program.

Open event ''Rock and Democracy'' was organized on July, 2012 in Kutaisi to promote the democratic idea and popularize democracy schools. Similar events – combining art and music – are intended to reach the hearts and minds of young people to inspire them for the causes of active citizenship and democratic activism.

COURSE MODULES

PRACTICAL SKILLS

- Fundamental principles of democracy
- Communication skills
- Writing skills
- Rhetoric
- Debating skills
- Internet skills

DEMOCRATIC SOCIETY

- Citizenship
- Civic society
- Nation, nationalism and minorities
- Religion and democracy
- The media
- Gender

PARTICIPATION AND LEADERSHIP

- Leadership
- Mechanisms for democratic participation
- Elections and the electorate (practical cases)
- Advocacy
- Forms of civic protest
- Budget management skills
- Project writing skills
- Monitoring skills

DEMOCRATIC GOVERNANCE

- Constitutionalism and models of national governments
- The supremacy of the law and human rights
- Ideologies
- Political parties
- Elections
- Local self-government
- International support



Lika Dzamukashvili: " The School met all my expectations, and the course modules covered every vitally important aspect of the building of democracy."

Democracy School Alumni

How to apply for the Democracy School?

Any interested citizen as well as representatives of non-governmental organizations, local self-governing bodies, media or political parties aged 18 and above can take part in the schools. Participants are selected based on the applications. Shortlisted candidates are then invited to the final interview.

Applications can be obtained at www.school.nimd.ge.
Completed application forms must be sent to school@nimd.ge by appropriate deadline.

Presentation events are normally organized at the recruitment stage. Motivation is a single most important criterion for selection and coupled with demonstrable interest in politics or public affairs is a precondition for acceptance.
The five-month training course consists of

Successful graduates join the alumni network – a growing organization of democracy activists. The network will work at both local and national levels on practical issues of public importance by means of information campaigns, advocacy and coordination.

Profiles of democracy school participants



5 Zandukeli St. 0108 Tbilisi | 00995 32 982456 | school.nimd.ge | www.grassroots.ge
facebook.com/NIMDDemocracySchool
school@nimd.ge

The Netherlands Institute for Multiparty Democracy (NIMD) is a democracy assistance organization founded in 2000 by seven political parties in the Netherlands. NIMD is currently working in 21 program countries in Africa, Latin America, Asia and Eastern Europe. .

NIMD Georgia program is designed to promote democracy education, strengthen political parties and encourage democratic reforms.